



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის  
შესახებ

„არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

27/10/2022

თბილისი  
2022

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	არქიტექტურა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება- 0731
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 28.09.2012 გადაწყვეტილების №549

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ხიმშიაშვილი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ემსახურება ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება შესაძლებლობა არქიტექტურის საფუძვლების, მისი არსის, განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნით, შემოქმედებითი და სივრცითი აზროვნებით, შესაბამისი მითითებებით წარმართოს არქიტექტურული პრაქტიკული საქმიანობა, კერძოდ, ქალაქთმშენებლობითი, შენობა-ნაგებობების დაგეგმარება, მათი ინტერიერებისა და გარემოს დიზაინი.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის შემოწმება განხორციელდა დისტანციურ ფორმატში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესწავლის გზით. შემოწმებისას, შეფასდა აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები.

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N695, 10.04.2019), ასევე არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან (11.05.2020), რომელიც თავის მხრივ დაეყრდნო ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტს და ასევე 2017 წლის UNESCO-UIA-არქიტექტურული განათლების ქარტის, 2017 წლის UNESCO-UIA იუნესკოს და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის ვალიდაციის სისტემისა და ევროსაბჭოს 2013 წლის 20 ნოემბრის PQD 2013/55/EU დირექტივების რეკომენდაციებს.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მიზნით დაიხვეწა პროგრამის მიზანი და შეიცვალა სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები; ასევე შეიცვალა პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგი.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლო კურსის „გარემოს დიზაინერული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“, სათაური შეიცვალოს შემდეგი სახით „გარემოს დიზაინის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლებით“ ან საგნის ავტორის მიერ შემოთავაზებული იქნას ალტერნატიული სათაური.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწრაფად ცვალებადი სამყაროს, სახელმწიფო და კერძო სექტორის განვითარების თანამედროვე გამოწვევებისა და საზოგადოების მზარდი მოთხოვნების შესაბამის ახალ ამოცანებს საცხოვრებელი გარემოს დაპროექტების, მშენებლობის, გამოყენების, ლანდშაფტის ფორმირების, ტერიტორიის

კეთილმოწყობისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

სტუ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია, რომ დღევანდელ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ბაზარზე იკვეთება სფეროს განვითარების ტენდენციები შემდეგი მიმართულებებით: მოცულობითი არქიტექტურა, ურბანისტიკა და გარემოს დიზაინი. ეს მიმართულებები სათანადოდაა წარმოდგენილი „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც არქიტექტურის მიმართულებით თანხვედრაშია ევროპული ქვეყნების შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადების დონესთან. ამასთან პროგრამაში გათვალისწინებულია არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები. ასევე დარგთან მიმართებით კონკრეტული სიახლეების დანერგვისა და საუკეთესო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, პერიოდულად ხდება უცხოური მსგავსი პროგრამების შესწავლა-ანალიზი. პროგრამის მოდიფიცირების დროს შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა წამყვანი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, მათ შორის:

სან-პალოს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი <https://www.uspceu.com>;

- EI-ს უნივერსიტეტი (ესპანეთი) <https://www.ie.edu>;
- ოსაკას ტექნოლოგიური ინსტიტუტი <https://www.oit.ac.jp>;
- კვიპროსის უნივერსიტეტი (ნიქოზია) <https://www.unic.ac.cy>;
- გდანსკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი <https://pg.edu.pl/en>;
- ციურიხის უნივერსიტეტი ETHz ürich <https://ethz.ch/de.html>.

პროგრამის ავტორთა აზრით, სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, სპეციალისტს ეძლევა შესაძლებლობა არქიტექტურის საფუძვლების, მისი არსის, განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნით, შემოქმედებითი და სივრცითი აზროვნებით, შესაბამისი მითითებებით წარმართოს არქიტექტურული პრაქტიკული საქმიანობა, კერძოდ, ქალაქთმშენებლობითი, შენობა-ნაგებობების, მათი ინტერიერების და გარემოს დიზაინის დაპროექტება.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის მიზნები არის მიღწევადი აღნიშნული პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს დამოუკიდებელი არქიტექტურული საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებით არქიტექტურული პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა, კერძოდ, ქალაქთმშენებლობითი, შენობა-ნაგებობის, მათი ინტერიერებისა და გარემოს დიზაინის დაპროექტება.

პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორცილდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

მოდულიზაცია. ამ პროცესში მოხდა პროგრამის მიზნის დახვეწა, თუმცა არ მომხდარა მისი შინაარსობრივი ცვლილება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელს, მათ შორის:

- არქიტექტურული კომპოზიციის მიმართულებით ყურადღება ექცევა ფერთა ჰარმონიასა და კომპოზიციის კანონებს, სივრცით აზროვნებასა და პროპორციის

შეგრძნებას;

- სტუდენტი ფლობს სახვითი ხელოვნების საფუძვლებსა და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ეცნობა ეკოლოგიური მდგრადობისა და ენერგოეფექტურობის პრინციპებსა და სამართლებრივი რეგულაციების საფუძვლებს;
- აქვს საპროექტო დოკუმენტაციის შესრულების უნარი;
- ერკვევა შენობა-ნაგებობების სტრუქტურას, მასალებსა და ახალ ტექნოლოგიებში;
- აფასებს სოციალურ-კულტურულ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებისამებრ გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ასევე არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

### სწავლის შედეგები

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ✓ **ფლობს** ფერთა ჰარმონიისა და კომპოზიციის კანონებს, როგორც სივრცით აზროვნებაზე და პროპორციის შეგრძნებაზე ზემოქმედების მქონე საშუალებებს; არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის, ასევე სახვითი ხელოვნების საფუძვლებს და **იაზრებს**, როგორც არქიტექტურული გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სოციალურ კონტექსტს, ისე კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- ✓ **აცნობიერებს** ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების როლს, ასევე საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და ინტერესებს, პროფესიული ეთიკის საკითხებს გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტირების პროცესში.
- ✓ **იცის** ეკოლოგიური მდგრადობისა და ენერგოეფექტურობის პრინციპები და ასევე პროექტირების ნორმატიული და სამართლებრივი რეგულაციების საფუძვლები.
- ✓ **აქვს** არქიტექტურის სფეროს ფართო და მრავალმხრივი თეორიული თუ პრაქტიკული, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის ვიზუალიზაციისთვის აუცილებელი პროფესიული ხერხების ცოდნა და კრიტიკულად **იაზრებს** ქალაქთმშენებლობითი და მოცულობითი არქიტექტურის, გარემოს დიზაინისა და ინტერიერის პროექტების/კონცეფციების ხორცშესხმისთვის საჭირო პროცედურებს და პროცესებს.
- ✓ **ერკვევა** შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებში, კონსტრუქციებსა და მასალებში, ახალ ტექნოლოგიებში, სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციებში, ტექნიკური მომსახურებისა და უსაფრთხოების სისტემებში.
- ✓ **ითვალისწინებს** კომპოზიციის კანონებს, ფუნქციურ, ესთეტიკურ, ტექნიკურ საკითხებს, ერგონომიკულ თავისებურებებს, ადგილობრივ და მსოფლიო არქიტექტურაში ისტორიულ და კულტურულ პრეცედენტებს, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს და შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის - ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების და მოდელირების გამოყენებით, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, **ქმნის** არქიტექტურულ პროექტს.

- ✓ **აგროვებს** საპროექტო დავალებისთვის ინფორმაციას ბუნებრივ-კლიმატური, ქალაქთმშენებლობითი ფაქტორების, მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული წესების საფუძველზე და დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლების მქონე პირის მითითებებით **ასრულებს** არქიტექტურულ პროექტს.
- ✓ **აანალიზებს** ლოგიკური აზროვნების საფუძველზე არქიტექტურულ-კონსტრუქციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და პროექტირებასთან დაკავშირებულ სხვა საინჟინრო პრობლემებს და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად **ასახავს** პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში.
- ✓ არქიტექტურული პროექტის შემუშავებისთვის და წარსადგენად **იყენებს** ვიზუალური კომუნიკაციის ხერხებს - ჩანახატებს, მაკეტებს, ელექტრონულ, გრაფიკულ და სხვა მეთოდებს, ასევე შემოქმედებითი იდეებისა და პროფესიული ინფორმაციის გადმოსაცემად ვერბალურ და წერილობით საშუალებებს.
- ✓ არქიტექტურული პროექტირების პროცესში **მუშაობს** ინდივიდუალურად ან/და გუნდში პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით და სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით **ამყარებს** კომუნიკაციას.
- ✓ სათანადოდ **აფასებს** ქართული კულტურის ფენომენს, სოციალურ-კულტურულ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებისამებრ გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.  
პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ასევე თანხვედრაშია კვალიფიკაციათა ჩარჩოს VI დონის აღმწერთან და ასევე არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლით, ბაკალავრიატის დონისთვის, განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- დადებითი მოვლენაა ის ფაქტი, რომ მოხდა პროგრამის სტრუქტურის კორექტირება. კერძოდ,
- შეიცვალა თანაფარდობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებსა და თავისუფალ კომპონენტებს შორის - იყო 223 კრედიტი ძირითადი და 17 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი, გახდა 232 კრედიტი ძირითადი და 8 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი;



<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამის სწავლების ძირითადი სფეროს საგნებს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „საპროექტო პრაქტიკა“, რომლის მიზანიც არის, რომ სტუდენტს პრაქტიკულად შეასწავლოს არქიტექტურული პროექტისთვის დასრულებული სახის მიცემა (სტადია პროექტი - მუშა ნახაზები);</li> </ul> <p>ხოლო ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისა და საერთაშორისო ბაზართან დაახლოების მიზნით უცხოურ ენას დაეთმო 20 კრედიტი, ნაცვლად 6-ისა.</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>			

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სპეციალური კომისიის წინაშე გაივლის გასაუბრებას, სადაც წარადგენს საკუთარი ხელით შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებს (ნახატებს და ნახაზებს) და ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გასაუბრების ჩატარების ეტაპები და თარიღი მოცემულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- <https://gtu.ge/Arch/Students/Applicants.php>

### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. სტუ-ში 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. აქ იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 4 წელი და მოიცავს 8 სემესტრს. ერთი აკადემიური წელი წარმოადგენს 2 სემესტრის ერთობლიობას. ის მოიცავს 60 კრედიტს. ერთი სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს.

პროგრამა 232 კრედიტის ფარგლებში მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს, აქედან უცხოური ენის კომპონენტს ეთმობა 20 კრედიტი, არჩევით ჰუმანიტარულ საგნებს - 3 კრედიტი, სპეციალობის არჩევით საგნებს - 6 კრედიტი, საპროექტო პრაქტიკას - 6 კრედიტი და სწავლის VIII სემესტრში გათვალისწინებულ საბაკალავრო პროექტს არქიტექტურაში - 7 კრედიტი. პროგრამა მოიცავს თავისუფალ კომპონენტს 8 კრედიტის ოდენობით (8 სასწავლო კურსი), რომელთაგან სტუდენტმა არჩევით უნდა დააგროვოს VIII სემესტრში 3+5 კრედიტი.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ასევე არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი. ასევე პროგრამის სტრუქტურაში გაჩნდა ახალი კურსი „საპროექტო პრაქტიკა“, რაც გულისხმობს საპროექტო პრაქტიკის გავლას შესაბამისი პროფილის საპროექტოში. სტრუქტურულად პროგრამის დამაგვირგვინებელ ეტაპს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის დაცვა, რაც გულისხმობს დასრულებული არქიტექტურული პროექტისა და განმარტებითი ბარათის წარდგენას და დაცვას.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული და ყოველი შემდგომი კომპონენტის დაშვების წინაპირობა არის ადეკვატური. მთლიანობაში სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (ბაკალავრიატი) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (არქიტექტურის ბაკალავრი) და დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობას, ხელს უწყობს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

### შემთხვევაში)

აკრედიტაციის ჯგუფის აზრით, წარმოდგენილი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თავისი შინაარსით სასწავლო კურსებით, სწავლების მეთოდებით და კრედიტების მოცულობით უზრუნველყოფს გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას კურსების შინაარსის, კრედიტების რაოდენობისა და სწავლების მეთოდების გათვალისწინებით.

დადებითი მოვლენაა ის ფაქტი, რომ მოხდა პროგრამის სტრუქტურის კორექტირება. კერძოდ,

- შეიცვალა თანაფარდობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებსა და თავისუფალ კომპონენტებს შორის - იყო 223 კრედიტი ძირითადი და 17 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი, გახდა 232 კრედიტი ძირითადი და 8 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი;
- პროგრამის სწავლების ძირითადი სფეროს საგნებს დაემატა ახალი სასწავლო კურსი „საპროექტო პრაქტიკა“, რომლის მიზანიც არის, რომ სტუდენტს პრაქტიკულად შეასწავლოს არქიტექტურული პროექტისთვის დასრულებული სახის მიცემა (სტადია პროექტი - მუშა ნახაზები);

ხოლო ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისა და საერთაშორისო ბაზართან დაახლოების მიზნით უცხოურ ენას დაეთმო 20 კრედიტი, ნაცვლად 6-ისა.

### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადად თეორიული ცოდნის შეძენაზე, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული, ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ ხასიათს. სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>კურსების სილაბუსების სტრუქტურა კარგადაა შედგენილი და სტუდენტზე ორიენტირებულია, რადგან მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მაგალითად კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა კურსის ხელმძღვანელი, მიზანი, ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, ტრენინგი და სხვა რესურსები.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ერთ-ერთ საგნად მე-4 სემესტრში ისწავლება <b>„გარემოს დიზაინერული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“</b>, რომლის სათაური შესაძლოა სხვაგვარად ჩამოყალიბდეს. ვინაიდან ლათინური სიტყვა „დიზაინის“ ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა დაპროექტება, ტერმინის „დიზაინერული დაპროექტება“ ნაცვლად, მიზანშეწონილია მოიხსენიებოდეს „გარემოს დიზაინის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“ ან საგნის ავტორის მიერ შემოთავაზებული იქნას ალტერნატიული სათაური.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში</li> <li>• სილაბუსები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია სასწავლო კურსის „გარემოს დიზაინერული დაპროექტების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“, სათაური შეიცვალოს შემდეგი სახით „გარემოს დიზაინის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“ ან საგნის ავტორის მიერ შემოთავაზებული იქნას ალტერნატიული სათაური.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> </ul>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საპროექტო, შემოქმედებით და პრაქტიკულ კომპონენტს.

მეოთხე სემესტრიდან („არქიტექტურული დაპროექტება 1“) სტუდენტს ეძლევა საშუალება შეასრულოს ინდივიდუალური პროექტი, რაც მას აძლევს საშუალებას გამოიმუშაოს შემოქმედებითი და მხატვრული აზროვნება ადგილის მახასიათებლების გათვალისწინებით, გაიაზროს გარემოსა და ობიექტს შორის მხატვრული და კომპოზიციური კავშირები და განვიტაროს სივრცულ-მოცულობითი აზროვნება.

პროგრამის პრაქტიკულ და შემოქმედების სტრუქტურას მნიშვნელოვნად ამდიდრებს მოცულობითი არქიტექტურული საგნების პარალელურად ურბანული, ინტერიერის, ერგონომიკის, კონსტრუქციული, საკანონმდებლო, დაპროექტების თანმდევი მომიჯნავე სპეციალობების ანალიზისა და მდგრადი არქიტექტურული განვითარების საგნების არსებობა.

საპროექტო პრაქტიკა ხორციელდება VII სემესტრში. სილაბუსში მოცემული სასწავლო კურსი მიზანი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ „სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს პრაქტიკულად შეასწავლოს არქიტექტურული პროექტისთვის დასრულებული სახის მიცემა (სტადია პროექტი - მუშა ნახაზები). მნიშვნელოვანია აგრეთვე ამავე სილაბუსში განმარტებული პრაქტიკის გავლისას თუ როგორ ხდება თეორიული ცოდნის განხორციელება რეალურ სამუშაო გარემოში. მაგ.:

- პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის კონტროლისა და მხარდაჭერის მიზნით, პრაქტიკის ობიექტის მიერ, ობიექტის პერსონალიდან ინიშნება ხელმძღვანელი, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად; ხელმძღვანელობს სტუდენტთა მუშაობას; სტუდენტებს ეხმარება მათთვის საჭირო ინფორმაციის და მასალების მოპოვებაში; პრაქტიკის დამთავრების შემდეგ ადგენს თითოეული სტუდენტის დახასიათებას.
- პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები (ხელით) პრაქტიკის დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაოები და ის სიახლეები, რომლებსაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას, ჩაინიშნოს საჭირო მონაცემები, დააფიქსიროს მიღწეული შედეგები. პრაქტიკის ბოლოს სტუდენტი წარადგენს პრაქტიკის ანგარიშს.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განახლებული „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს საპროექტო პრაქტიკის გავლას შესაბამისი პროფილის საპროექტო ორგანიზაციებში. პრაქტიკის კომპონენტის გავლა უზრუნველყოფილია სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული პრაქტიკის ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავად ფაკულტეტზეც არსებობს არქიტექტურული ბიურო, რომლის მთავარი არქიტექტორიც არის აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი.

<p>ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტუ-სა და 20-ზე მეტ საპროექტო-დეველოპერულ ორგანიზაციას შორის გაფორმებული მემორანდუმები წარმოადგენს მყარ საფუძველს სტუდენტების მიერ პრაქტიკული ცოდნის მიღებისა და შემდგომში მათი დასაქმების უზრუნველყოფის კუთხით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>• თვითშეფასების ანგარიში</li> <li>• სილაბუსები</li> <li>• მემორანდუმები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
